ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ფრაქცია

,,ქართული ოცნება - მრეწველების“ წევრის,

თავმჯდომარის პირველი მოადგილის

გიორგი ტყემალაძის

ა ნ გ ა რ ი შ ი

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 88-ე მუხლის თანახმად, წარმოგიდგენთ ანგარიშს ჩემს მიერ გაწეული მუშაობის შესახებ.

2014 წლის ივლისიდან ვარ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-5 მოწვევის წევრი, ფრაქცია ,,ქართული ოცნება-მრეწველების“ წევრი, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის, სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიების წევრი. წინამდებარე ანგარიში არის ჩვენი გუნდის მიერ გაწეული სამუშაოს მხოლოდ ნაწილი, რადგან წარმოუდგენლად დიდი მასალაა და ამჯერად შევეცდები გარკვეული ნიშნით ჩემი აზრით გამორჩეულ საკითხებზე შევაჩერო თქვენი ყურადღება და ვისაუბრო მხოლოდ გასული პერიოდში ნამუშევარ რამდენიმე ძირითად საკითხზე.

თბილისის მოსახლეობასთან ურთიერთობა

მე, როგორც საკრებულოს წევრი და თავმჯდომარის პირველი მოადგილე განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობ მოქალაქეთა მიღებას და პრობლემატიკის შესწავლის საკითხს. ყოველ ოთხშაბათს მაქვს მოქალაქეთა მიღების დღე. შესაბამისად 2015 წლის იანვრიდან დღემდე მიღებული მყავს 500-მდე მოქალაქე. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ სხვა დღეებშიც მოქალაქეთა მოთხოვნის შესაბამისად ხშირად ვხვდები მოქალაქეებს, როგორც საკრებულოში ასევე ადგილებზე ან საკრებულოს სხვადასხვა მაჟორიტარი წევრების ბიუროებში. შეხვედრებისას წარმოჩენილი პრობლემატიკა სხვადასხვა სახისაა: სოციალური, ჯანდაცვის, ურბანული და ინფრასტრუქტურული, სამართლებრივი, კულტურულ-საგანმანათლებლო. ყოველ კონკრეტულ საკითხს განვიხილავთ დამოუკიდებლად და საერთო ჭრილში. საკრებულოს წევრის კომპეტენციის ფარგლებში, ყველა მოქალაქეს გაეწია სხვადასხვა სახის კონსულტაცია, დახმარება ან/და შუამდგომლობა.

ასევე, შემოდის სხვადასხვა ხასიათის წერილები, რომლებზეც ხდება შესაბამისი და დროული რეაგირება. მოქალაქეებთან აქტიური შეხვედრები მაძლევს საშუალებას ვიცოდე რეალური პრობლემები, ხელი შევუწყო საკითხებზე დროულ რეაგირებას და ქმედითად ვიმუშავო მთელ გუნდთან ერთად ქალაქისათვის საჭირბოროტო პრობლემების გადაჭრაზე.

გასული პერიოდის განმავლობაში მოსახლეობასთან დამატებითი კომუნიკაციის სახით წარმატებით დავნერგეთ სხვადასხვა რაიონის მაჟორიტარებთან გასვლითი ღონისძიებები რაიონის ბიუროებში. სწორედ ეს მაძლევს საშუალებას ჩაბმული ვიყო ქალაქის ყველა რაიონის მიმდინარე პრობლემების შესწავლისა და გადაწყვეტის საკითხებში. მინდა აღვნიშნო, რომ ასევე ხშირია მოქალაქეებთან საცხოვრებელ ადგილებზე და სხვადასხვა სახის თემატურ შეხვედრებზე გასვლის პრაქტიკა. მსგავსი ერთობლივი შეხვედრებისას, როგორც თბილისის საკრებულოს წევრი და თავმჯდომარის პირველი მოადგილე პირადად შევხვდი მიახლოვებით 1800-მდე მოქალაქეს, ადგილებზე შევისწავლე და ვნახე ბევრი პრობლემა და შემდეგ უშუალოდ ვიყავი ჩართული კონკრეტული საკითხების მოგვარებაში.

ამ მხრივ, ხაზგასასმელია ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“ მუშაობის სპეციფიკა, რაც ვფიქრობ კიდევ მეტ საშუალებას გვაძლევს უშუალოდ ვიყოთ

მუდმივად ჩართული ქალაქის ეკონომიკური განვითარებისა და დასაქმების პრობლემების გადაჭრის გზების მოძიებაში. ფრაქციის სხდომების, თუ სხვა მუშაობის პროცესში ასევე აქტიურად ვართ ჩართული თბილისის საზოგადოებასთან ურთიერთობების პროცესში. ვთანამშრომლობთ სხვადასხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, რათა პრაქტიკულად შევძლოთ სიკეთე მოვუტანოთ თბილისს და თბილისელებს.

განსაკუთრებით მინდა გამოვყო მთელი ჩვენი გუნდის, როგორც საკრებულოს წევრების, ასევე აპარატის თანამშრომლების სრული მობილიზაცია ქალაქისათვის უმძიმეს დროს, 2015 წლის 13 ივნისს. სტიქიის მთელ პერიოდში მე, მთელ გუნდთან ერთად უშუალოდ ვიმყოფებოდი სვანიძის ქუჩაზე და სხვა ადგილებში. ქალაქის შესაბამის სამსხაურებთან ერთად ფიზიკურად ვიყავით ჩართული დაზარალებულთათვის დახმარების პროცესში. ასევე, პირადად შევხვდი 90-მდე დაზარალებულს, რადგან მნიშვნელოვანი იყო ზარალის ანაზღაურების განსაზღვრისათვის საკითხის დეტალური ცოდნა. აღნიშნული ჩართულობა, გარდა საკითხის მორალური მხარისა, ვფიქრობ აუცილებელი იყო ჩემთვის, როგორც ქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრისათვის, რათა სწორი ხედვა მქონოდა საკითხზე გადაწყვეტილების მიღებისას. აქვე მადლობა მინდა გადავუხადო ყველა ჩვენს თანამოქალაქეს, ახალგაზრდას და უბრალოდ ადამიანს, ვინც ასეთ მძიმე პირობებში ბოლომდე გვერდში ედგა დაზარალებულებს.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომებსა და კომისიების მუშაობაში მონაწილეობა:

მოგახსენებთ, რომ ახალი, მე-5 მოწვევის საკრებულოს მუშაობის პერიოდში ჩატარებულია ბიუროს 65 სდომა და საკრებულოს 45 სხდომა. აღნიშნულ სხდომებზე მიღებულია 214 დადგენილება და 661 განკარგულება. მინდა ხაზი გავუსვა, რომ როგორც თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს, აქტიური მონაწილეობა მაქვს მიღებული თითოეული სხდომის მომზადებასა და დადგენილებისა თუ განკარგულების მიღებაში.

საკრებულოს სხდომის განსახილველ 21 საკითხზე ვიყავი მომხსენებლის სტატუსით. მაგალითისათვის, მათ შორის იყო შემდეგი საკითხები: ქ. თბილისის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ; ,,ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის“ განსახორციელებლად გათვალისწინებული თანხების განკარგვისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ და სხვა.

ვინაიდან, 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის მორიგი არჩევნების შედეგების ოფიციალურად გამოცხადებისთანავე ძალაში შევიდა საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, რომლის თანახმადაც ძალადაკარგულად გამოცხადდა მანამდე მოქმედი თვითმმართველობის მარეგულირებელი მრავალი საკანონმდებლო აქტი მათ შორის ,,საქართველოს დედაქალაქის-თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონი და ,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, მე-5 მოწვევის საკრებულოს დღის წესრიგში დადგა 6-თვიან გარდამავალ პერიოდში (2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით) თბილისის საკრებულოს, თბილისის მერის და თბილისის მთავრობის ნორმატიული აქტების, კოდექსთან შესაბამისობაში მოყვანის საკითხი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში ნორმატიულ აქტის გამომცემ ერთადერთ მუნიციპალურ ორგანოდ განისაზღვრა თბილისის საკრებულო. აღნიშულიდან გამომდინარე, მუნიციპალური ორგანოების გამართულად მუშაობისათვის, ჩემი როგორც საკრებულოს წევრისა და თავმჯდომარის პირველი მოადგილის უშუალო მონაწილეობით შევიმუშავეთ და მივიღეთ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები. მათ შორის აღსანიშნავია: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტი და საკრებულოს კომისიების და აპარატის დებულება; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის დებულება; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საქალაქო სამსახურების შესაბამისი დებულებები; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობის ტიპური დებულებები; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიაში საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესი; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატსა და მერიაში სტაჟირების გავლის წესისა და სასწავლო პრაქტიკის გავლის შესახებ წესი; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმისწარმოების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ და სხვადასხვა სამართლებრივი აქტები, რომლებიც შეეხება სტრუქტურის გამართულად მუშაობას.

რამდენადაც მოგეხსენებათ, ვარ <u>ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის</u> წევრი. ამ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ჩატარდა კომისიის 34 სხდომა, რომელშიც აქტიურად ვიყავი ჩართული. განვიხილეთ დღის

წესრიგით გათვალისწინებული 238 საკითხი, მათ შორის მიწის ნაკვეთის ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილების 326 შემთხვევა და განაშენიანების რეგულირების გეგმის 83 პროექტი.

კომისიის სხდომებზე, წევრების მიერ გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით, საკრებულოში შემოტანილ ნორმატიულ-სამართლებრივი აქტის პროექტებზე მოვამზადეთ შესაბამისი დასკვნები. მათ შორის აღსანიშნავია "ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის" განსახორციელებლად გათვალისწინებული თანხების განკარგვისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-110 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე", ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, რომლის მიღება მიზნად ისახავდა „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის", ეფექტიანობის გაზრდას, ბინათმესაკუთრეებისათვის აქტუალური პრობლემების მოგვარებას, პროგრამისათვის გათვალისწინებული ფინანსური რესურსების მიზნობრივად ხარჯვას და პროგრამის პროცესის გამარტივებას. წარმოდგენილი ცვლილებები ხელს უწყობს "ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის" ფარგლებში მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონების ექსპლოატაციისა და განვითარებისათვის აუცილებელი სამუშაოების დაფინანსებას.

მიმაჩნია, რომ მნიშვნელოვანი სამუშაოები განხორციელდა დედაქალაქის ახალი <u>მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის</u> შესამუშავებლად, რაც უზრუნველყოფს დედაქალაქის მდგრადი განვითარებისა და მოსახლეობის ჯანსაღი და უსაფრთხო საცხოვრებელი პირობების ჩამოყალიბებას, გრძელვადიანი ქალაქმშენებლობითი სტრატეგიის განსაზღვრას და ტერიტორიების სამშენებლო განვითარების მართვის ქმედითი ინსტრუმენტის შექმნას. ამ პროექტის განსახორციელებლად 2015 წლის ბიუჯეტში ჩაიდო 2 მილიონ 300 ათასი ლარი. გამოცხადებული იქნა კონკურსი, რომლის ჟიურის შემადგენლობაშიც ვიყავი და დღეისათვის გამოვლენილია გამარჯვებული მსხვილი საერთაშორისო კონსორციუმი, იურიდიულ პირთა გაერთიანება „მომავლის ქალაქი", რომლის შემადგენლობაშიც შედიან როგორც ქართული, ისე გერმანული და ფრანგული კომპანიები და ორგანიზაციები, მათ შორის: ა(ა)იპ „სითი ინსტიტუტი საქართველო", „Albert Speer & Partners GmbH", „Sàrl -Atelier Alfred Peter Paysagiste", „Dr.

BrennerIngenieurgesellschaft mbH“, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, CENN - Caucasus Environmental NGO Network. მათი კონსულტანტებია:„Steinbeis Beratungszentren GmbH“, შპს „თბილისი ჯგუფი“ და „Fraunhofer“-ის ინსტიტუტი. უმოკლეს ვადაში თბილისის ისტორიაში პირველად ქალაქს ექნება სივრცით-ტერიტორიული განვითარების მართვის სრულყოფილი დოკუმენტი, რითაც მოგვეცემა სამშენებლო პროცესების მართვისა და მისი განხორციელების კონტროლის შესაძლებლობა.

თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურმა მოქმედი მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ანალიზი 2015 წლის იანვარში დაასრულა, რაშიც ჩართული იყო საკრებულოს ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიაც. ანალიზის შედეგად დღის წესრიგში დადგა მომხდარიყო ქალაქის ტერიტორიულ-სივრცითი განვითარების ახალ გამოწვევებსა და პრიორიტეტებზე ორიენტირებული გენგეგმის შემუშავება-განახლების აუცილებლობა.

გენგეგმის შემუშავება-განახლების პროცესში ჩართულია საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანია PWC (PricewaterhouseCoopers), რომელიც მსოფლიოს მასშტაბით 1000-მდე დარგობრივი სპეციალისტით არის წარმოდგენილი და 20 ქალაქის, მათ შორის, ლიონის, ნიუ ორლეანის გენერალური გეგმების შემუშავებაში აქვს მონაწილეობა მიღებული. ამასთან, ამ დროისთვის PWC ბერლინის ქალაქგეგმარების პროექტზე მუშაობს.

კონკურსი 2015 წლის 19 მაისს გამოაცხადდა. მე უშუალოდ ვიყავი საკონკურსო კომისიის წევრი. საკონკურსო წინადადებების მიღება პირველ აგვისტოს დასრულდა. შემოსული 11 განაცხადიდან მეორე ტურში გადასვლა ექვსმა კონკურსანტმა შეძლო. საბოლოოდ, საკონკურსო კომისიამ ექვსივე პრეზენტაციის განხილვის შედეგად 3 გამარჯვებული გამოავლინა.

ასევე, აქტიურად ვიყავი ჩართული დედაქალაქის <u>2015 წლის ბიუჯეტის</u> განხილვის პროცესში, ბიუჯეტის მომზადებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა სამუშაო პროცესებში და მიღების შემდგომ მისი შესრულების კონტროლში. ხაზი უნდა გავუსვა, რომ საკრებულოს წევრებმა, მოვისმინეთ მერიის სხვადასხვა საქალაქო სამსახურის უფროსების და რაიონების გამგებლების ანგარიში მათ მიერ გაწეული სამუშაოების შესახებ. ყველა აღნიშნულ პროცესში აქტიური მონაწილეობა მაქვს მიღებული.

დედაქალაქის მერიასთან ერთად შევიმუშავეთ და შემდგომ საკრებულოს სხდომაზე დავამტკიცეთ ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში, **2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის** შედეგად დაზარალებულ პირთა (ოჯახთა) საცხოვრისით უზრუნველყოფის, უძრავი ქონების დათმობისა და სხვა სახის ფულადი დახმარების გაცემის წესი". 13-14 ივნისს მოსული ძლიერი წვიმის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის დახმარებისა და მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიზნით ბიუჯეტს დაემატა ახალი პროგრამები და შესაბამისად გამოიყო დამატებითი თანხები.

წესის მიღების მიზეზს წარმოადგენდა შესაბამისი სამართლებრივი რეგულაციების გაჩენა, რომლებიც განსაზღვრავს და მოახდენს დაზარალებულთა კლასიფიცირებას, რათა სამართლიანობის პრინციპიდან გამომდინარე მოხდეს თითოეული ოჯახისთვის სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის სათანადო ანაზღაურება. ამავე წესით ხდება იმ მექანიზმების დადგენა, რომლითაც განხორციელდება დაზარალებულებისთვის ფულადი დახმარების გაცემის დაანგარიშება. აღნიშნული ხელს შეუწყობს რაციონალურად, ზარალისა და დაზარალებული ოჯახის სულადობის გათვალისწინებით მოხდეს შესაბამისი ფულადი დახმარების გაცემა, რათა დაზარალებული პირები (ოჯახები) სამომავლოდ უზრუნველყოფილ იქნენ საცხოვრისებით.

წესი არეგულირებს იმ ღონისძიებების გატარების მექანიზმებს, რომლებიც შესაძლებელს გახდის იმ საცხოვრებელი ფართების შეკეთებას, რომლებიც ამ ეტაპისათვის საცხოვრებლად გამოუსადეგარია.

მიმაჩნია, რომ მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს პრიორიტეტების დადგენა. აღნიშნული რეგულაცია შესაძლებელს ხდის, გათვალისწინებული იქნეს დაზარალებულთა საჭიროებები, მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, ოჯახური მდგომარეობა და აღნიშნულ მონაცემებზე დაყრდნობით განხორციელდეს საცხოვრისითა თუ დახმარებით უზრუნველყოფა, ეს მათ არჩევანზეა დამოკიდებული.

ვფიქრობ, წესის დადგენის ერთ-ერთ ქვაკუთხედს წარმოადგენდა, ასევე კონკრეტული უფლებამოსილი ორგანოების განსაზღვრა, რათა კონკრეტულად იყოს გამოყოფილი უფლებამოსილი ორგანო, რომელიც უშუალოდ განახორციელებს წესით დადგენილი ღონისძიებების გატარებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან, საკითხის აქტუალობიდან, დაზარალებული ოჯახების სიმრავლიდან და მათი უფლებების დაცვისა და მათი უსაფრთხოების

დროულად უზრუნველყოფის აუცილებლობიდან გამომდინარე უაღრესად მნიშვნელოვანი იყო აღნიშნული წესის მიღება. ასევე, აღსანიშნავია, რომ ესეთი სახის საკითხის სამართლებრივი რეგულაცია პირველად მოხდა ბოლო წლების განმავლობაში.

მთლიანობაში სტიქიამ 194 ოჯახი დააზარალა, 20 გარდაიცვალა, 2 პირი კი დღემდე დაკარგულად ითვლება, დაზარალდა 800-ზე მეტი ფიზიკური პირი. მსოფლიო ბანკის შეფასებით, ზარალი 100 მილიონ ლარზე მეტს შეადგენს. კერძო კომპანიებისა და მოქალაქეების მიერ შემოწირულობის სახით შეგროვდა 22 მილიონ ლარზე მეტი. ამ თანხიდან 16 მილიონი ლარი დაზარალებულების ერთჯერად დახმარებებს, საცხოვრისით უზრუნველყოფას და სხვა საჭიროებებს მოხმარდა. გარდაცვლილების ოჯახებზე გაიცა 10 ათასი ლარის დახმარება. ამჟამად 52 ოჯახს სჭირდება საცხოვრებელი ბინა, მათგან 40-მდე ოჯახთან მიღწეულია შეთანხმება. ახლახან იქნა მიღებული გადაწყვეტილება და მერიის სარეზერვო ფონდიდან დაფინანსდება სტიქიის შედეგად დაზარალებული 30 სტუდენტის ერთი წლის სწავლის საფასური. ეს თანხა მთლიანობაში შეადგენს 71 ათას ლარს და იგი უახლოეს ხანში სტუდენტებს ჩაერიცხებათ.

ასევე, ჩემი უშუალო ჩართულობით შევიმუშავეთ და მივიღეთ <u>**თბილისის ტრანსპორტის მიმართულებით**</u> სხვადასხვა სახის აქტები. მათ შორის ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის წევრის სტატუსით ჩართული ვიყავი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის „დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M^{3}კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ შემუშავებაში. მოგახსენებთ, რომ ეს დადგენილება სწორედ მოქალაქეებთან უშუალო მუშაობის შედეგია. მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით 10 კონკრეტულ შემთხვევაში განხორციელდა ცვლილებები M^{3}კატეგორიის ავტობუსების მოძრაობის სქემებში. ისევე, როგორც სხვა საკითხების მონიტორინგში, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებითაც პირადად ვიმყოფებოდი მოქალაქეებთან რამდენიმე შეხვედრაზე და შემიძლია დავადასტურო, რომ ცვლილებების განხორციელებამ რეალურად ხელი შეუწყო მგზავრთა გადაყვანის დროის შემცირებას და გააუმჯობესა მოსახლეობის ტრანსპორტით მომსახურეობის ხარისხი.

თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებში (ავტობუსები (M3 კატეგორია), მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტი

(მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას შეღავათით მოსარგებლე პირების კატეგორიას დაემატა და დამატებით უფასო მგზავრობის უფლება მიეცეთ თბილისში რეგისტრირებულ შემდეგ კატეგორიებს:

- ✓ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების თანამშრომლებს, რომლებსაც ზედამხედველობას უწევს ა(ა)იპ „თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო“;
- ✓ ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამაში ჩართულ თბილისში მცხოვრებ ყოფილი პატიმრების სტატუსის მქონე პირებს;
- ✓ შპს „თბილსერვის ჯგუფში“ მომუშავე დამგველებს, მეეზოვეებს, სპეც. მორიგე ბრიგადების დამგველებს, მუშებს, დამხმარე მუშებს და მძღოლებს.

მნიშვნელოვანია, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის ერთობლივი ძალისხმევით 2016 წლის შემოდგომამდე დაიწყება საზოგადოებრივი ტრანსპორტის განახლება, რომლის ფარგლებშიც შემოვა 200-მდე ერთეული ავტობუსი ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის.

მოგახსენებთ, რომ ასევე ვარ თბილისის საკრებულოს <u>სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის</u> წევრი. 2015 წლის იანვრიდან ოქტომბრის თვის ჩათვლით ჩატარდა კომისიის 12 სხდომა, სამუშაო ჯგუფის 2 შეხვედრა, სადაც მონაწილეობას ღებულობდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის, სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის და სსიპ იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სამისამართო სამსახურის წარმომადგენლები.

კომისიამ განიხილა 103 საკითხი, სახელდებულ იქნა 98 გეოგრაფიული ობიექტი.

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიისა და რეგიონალური განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ერთობლივი კონსულტაციების საფუძველზე საქართველოს ორგანული კანონის ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 165-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს მთავრობამ 1 ივნისს დადგენილებით მოახდინა გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცება. მთავრობის დადგენილებიდან უმოკლეს ვადაში, 15

ივნისს საკრებულოს მიერ დამტკიცებული იქნა სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის მიერ მომზადებული თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესი.

2015 წლის დასაწყისში საკრებულოსა და ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიური ბიუროს შორის გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი, რომელიც ითვალისწინებს ქ. თბილისში 50 ქუჩისათვის 50 გამოჩენილი ქართველი ქალის სახელის მინიჭებას, მემორანდუმის ფარგლებში იგეგმება და ჩატარდება კონკრეტული ღონისძიებები 2015-2016 წლის მანძილზე, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში 11 ქუჩას უკვე მიენიჭა ფონდთან ერთად შერჩეული სახელი და ამ ეტაპზე მიმდინარეობს ხსენებული 11 ქალის ბიოგრაფიული მონაცემების აბრებზე დატანა, რომლებიც განთავსდება თითოეული ქუჩის დასაწყისში.

ასევე, სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიამ შეისწავლა ქალაქში აბრების განთავსების მიზნით გასულ წლებში განხორციელებული სამუშაოები, შესწავლის შედეგად გამოიკვეთა სხვადასხვა სახის პრობლემები. აღნიშნული პრობლემების აღმოფხვრის მიზნით სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის ინიციატივით გამოცხადდა აბრების დიზაინის შესარჩევი კონკურსი, საანგარიშო პერიოდისათვის მიმდინარეობს კონკურსში მონაწილე მსურველთა ელექტრონული განაცხადებების მიღების პროცესი. მიმდინარე წლის დეკემბრის თვეში მოხდება გამარჯვებული ნამუშევრების გამოვლენა. საკრებულოს ინიციატივით იგეგმება ქუჩების ცნობარის გამოცემა.

ჩემს ანგარიშში მინდა განსაკუთრებით ხაზი გავუსვა თბილისის მოსახლეობისათვის ესოდენ მნიშვნელოვან - **ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის თემებს.** ამ მხრივ, თბილისის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის მუშაობაში მინდა გამოვყო რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი, როგორიცაა ჯანდაცვის პროგრამები, კომუნალური სუბსიდიების პროგრამები, ,,ცხელი სადილის“ პროგრამა, მიუსაფართა თავშესაფრის მშენებლობა, სოციალური საცხოვრისის პრობლემების შესახებ, მუნიციპალური საავადმყოფოს კონცეფციის შესახებ, სოციალური პროგრამების ბენეფიციართა კმაყოფილების დონის კვლევის შესახებ და ასევე, არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა.

2015 წლის ბიუჯეტში ჯანდაცვის კუთხით ჩადებული იყო ბევრი საინტერესო ინიციატივა სხვადასხვა პროგრამების სახით. მათ შორის:

,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვის პროგრამებისა და მათი განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე''. საკრებულოს დადგენილება მოიცავს ონკოპრევენციის პროგრამის, ნარკომანიის ჩანაცვლებითი თერაპიის პროგრამის, გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლის პროგრამის, ლეიკემიისა და სხვა ონკოჰემატოლოგიური დაავადებების მქონე პაციენტებში (30 წლამდე ასაკის) ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციის პროგრამის განხორციელების წესებს.

მნიშვნელოვანია, რომ განისაზღვრა და დამტკიცდა C ჰეპატიტით დაავადებულ პირებში მკურნალობის ტაქტიკის განსაზღვრისათვის საჭირო კვლევების დაფინანასების განხორციელების წესი.

ასევე, განისაზღვრა ,,აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის'' ქვეპროგრამის განხორციელების წესი.

დამტკიცებულ იქნა „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეებისათვის, ასევე იმ მოქალაქეებისათვის, რომლებსაც ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი გააჩნიათ თბილისში და რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში სოციალური დახმარებისა და სხვა სერვისების ხელმისაწვდომობის განხორციელების წესი“.

ასევე ვიყავი უშუალოდ ჩართული ადრეული ძუძუს კიბოს (I-III სტადია) მქონე პაციენტების მედიკამენტების უზრუნველყოფისთვის საჭირო პროგრამის (მკურნალობა ჰერცეპტინით) სამუშაო შეხვედრებში.

მინდა ასევე გამოვყო, რომ აღნიშნულ პერიოდში თბილისის განვითარებისათვის, მოქალაქეთა სოციალური და ეკონომიკური ფონის გაუმჯობესებისათვის, <u>ეკონომიკური პოლიტიკის</u> მიმართულებით გავატარეთ მნიშვნელოვანი სახის ღონისძიებები. უპირველეს ყოვლისა, ამ მიმართულებით უნდა აღინიშნოს იაფი ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობის პროექტის პირობების შემუშავება, რომელიც ითვალისწინებს საკუთარი ბიზნესის დაწყებისა და განვითარების მსურველთათვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის დახმარებით საფინანსო ორგანიზაციებიდან იაფი ფინანსური რესურსებისადმი ხელმისაწვდომობას. ვფიქრობ, აღნიშნული პროგრამა ხელს შეუწყობს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს,

ინდივიდუალურ მეწარმეს, ასევე იმ პირებს, რომლებსაც სურთ ახალი ბიზნესის დაწყება ან არსებულის განვითარება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საზღვრებში.

ამასთანავე, მეწარმეობის მხარდამჭერის პროგრამის ფარგლებში შევიმუშავეთ შემომყვანი ტურიზმის განვითარებისათვის წესის, რომელიც მიზნად ისახავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში ამ დარგის განვითარების ხელშეწყობას. პროგრამის განხორციელებით სარგებელს მიიღებენ ტურისტული კომპანიები, სასტუმროები, ავიაკომპანიები, საზოგადოებრივი კვების ობიექტები, კულტურული, შემოქმედებითი და გასართობი ინდუსტრიების წარმომადგენლები, ტრადიციული ქართული ნაწარმისა და სუვენირების მწარმოებლები, სატრანსპორტო მომსახურების კომპანიები, სავაჭრო ობიექტები, სხვა მეწარმე სუბიექტები და მთლიანობაში – თბილისის მაცხოვრებლები და დედაქალაქის სტუმრები.

მოგეხსენებათ, 2015 წელს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტმა უმასპინძლა ორ მნიშვნელოვან **<u>სპორტულ ღონისძიებას</u>**: ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალსა და უეფას სუპერთასის ფინალურ მატჩს. ამ მიმართულებით, მთელი ჩვენი გუნდის უშუალო ჩართულობით შემუშავდა სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურული პროექტები და მათი განხორციელების მიზნით მიღებულ იქნა შესაბამისი სამართლებრივი აქტები.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ როგორც ყოფილი ჩოგბურთელი აქტიურად ვარ ჩართული ჩოგბურთის ფედერაციის საქმიანობაში და 2012 წლიდან ვარ საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი. ამდენად, 2015 წლის თბილისის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალშიც მივიღე აქტიური მონაწილეობა და თბილისის საკრებულოს წევრის სტატუსით ვმონაწილეობდი ქალაქის მიერ აღნიშნული ფესტივალისათვის მზადების პროცესში.

ასევე, სავარჯიშო-გამაჯანსაღებელი მომსახურეობის დარგის განვითარებას-თან დაკავშირებით შევიმუშვეთ წესი, რომლის ფარგლებშიც შეიქმნება ახალი გამაჯანსაღებელი ცენტრები, მოხდება არსებულის განვითარების ხელშეწყობა, რაც ხელშეუწყობს ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას.

<u>სკოლამდელი აღზრდის მიმართულებით</u> მივიღეთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებების ერთ ბავშვზე/აღსაზრდელზე გათვლილი ვაუჩერით დაფინანსების, სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტის

დანერგვის, მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებებში ბავშვის/აღსაზრდელის რეგისტრაციისა და მიღება-ამორიცხვის წესი. აღნიშნული წესის მიზანია, მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებების მართვის დეცენტრალიზაცია და მომსახურების ეფექტიანობის გაზრდა, ასევე სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებებში, სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტის დანერგვა (5-დან 6 წლამდე აღსაზრდელებზე) ბავშვის/აღსაზრდელის რეგისტრაციის და მიღება-ამორიცხვის პროცესის გაუმჯობესება და სასწავლო–სააღმზრდელო პროცესის განვითარება.

აღსანიშნავია, რომ თბილისის **ქონების მართვის** კუთხით დავადგინეთ ისეთი მარეგულირებელი ნორმები, როგორც არის: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესები და ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის ქონების საპრივატიზებო აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის (ადმინისტრაციული დაპირების) ნასყიდობის ხელშეკრულებისა და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ფორმები და ქონების მართვის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისა და დაჩქარებული მომსახურების საფასურისა და ვადების განსაზღვრის შესახებ. აღნიშნული ნორმები მნიშვნელოვნად უწყობს ხელს საკითხით დაინტერესებული პირებისათვის პროცედურების გამარტივებას.

საქართველოს ორგანულ კანონში ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, მუნიციპალიტეტს გადმოგვეცა ქონების პირდაპირი განკარგვის წესით პრივატიზების უფლება და შეიცვალა მთელი რიგი რეგულაციები. აღნიშნული საკითხი საჭიროებდა თბილისის მუნიციპალიტეტის მხრივ ასახვას ზემოაღნიშნულ სამართლებრივ აქტებში. მიგვაჩნია, რომ ამ მიმართულებით უფრო მიმზიდველი და მოქნილი გარემო შეიქმნა ინვესტორებისთვის და რეალურად გამარტივდა ქონების განკარგვასთან დაკავშირებული მთელი რიგი პროცედურები.

ვფიქრობ ხაზგასასმელია საკრებულოს მიერ **ქ.თბილისის გარემოსდაცვითი სტრატეგიის დამტკიცების საკითხი**, რომელიც 2015-2020 წლებისათვის პასუხობს შემდეგ ძირითად გამოწვევებს:

- ✓ თბილისის გარემოსდაცვითი პრობლემების გადაჭრა;
- ✓ გარემოსდაცვითი მმართველობისა და ინსტიტუციური მართვის გაძლიერება და მათი შესაბამისობაში მოყვანა თანამედროვე მოთხოვნებთან;
- ✓ გარემოსდაცვითი განათლებისა და მეცნიერების ხელშეწყობა;
- ✓ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება და საზოგადოების ჩართულობის გაძლიერება გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

თბილისის გარემოსდაცვითი სტრატეგია მიზნად ისახავს უარყოფითი გარემოსდაცვითი ზეგავლენების შემცირებას, გარემოს მდგომარეობის გაუმჯობესებას და საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებას.

სტრატეგიაში დასახულია მიზანი, მოცემულია არსებული მდგომარეობის ანალიზი და პრობლემები და ჩამოყალიბებულია სტრატეგიის ძირითადი მიმართულებები და ამოცანები ქალაქის მდგრადი განვითარებისთვის მნიშვნელოვან სფეროებში, როგორიცაა წყლის რესურსები, ატმოსფერული ჰაერის ხარისხი, ბიოლოგიური მრავალფეროვნება, მყარი ნარჩენების მართვა, კლიმატის ცვლილება, ენერგოეფექტურობა, სტიქიური მოვლენები, გარემოსდაცვითი მმართველობა, განათლება მდგრადი განვითარებისთვის, საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და საზოგადოების ჩართულობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

ჩემი აზრით, სტრატეგიის განხორციელებით საბოლოო ჯამში მიიღწევა თბილისის განვითარების ერთ-ერთი მთავარი მიზანი – „თბილისი მწვანე ქალაქი“, რაშიც იგულისხმება თბილისის ეკოლოგიურად სუფთა ქალაქად გადაქცევა, მიმზიდველი და ჯანსაღი გარემოს შექმნა, ქალაქში უკეთესი ცხოვრების, შშმ პირებისათვის გადაადგილების, დასვენების უკეთესი გარემოს და სამუშაო პირობების შექმნა.

საგულისხმოა, რომ თბილისის გარემოსდაცვითი სტრატეგიის განხორციელება უნდა მოხდეს თბილისის ადგილობრივი გარემოსდაცვითი სამოქმედო გეგმის მიხედვით, რომელშიც შევა კონკრეტული ღონისძიებები,

შემსრულებლები და დაფინანსების წყაროები სტრატეგიული მიმართულებების მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად.

სტრატეგიის მონიტორინგი და განახლება ხდება საჭიროების მიხედვით, მაგრამ არანაკლებ 4 წელიწადში ერთხელ.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის პოზიციიდან გამომდინარე, აქტიურად ვარ ჩართული **თბილისის საკრებულოს აპარატის** ყოველდღიურ საქმიანობაშიც. მოგეხსენებათ, სწორედ საკრებულოს აპარატი ამზადებს თბილისის საკრებულოს სხდომებსა და სხვა ტექნიკურ საკითხებს. უშუალოდ საკრებულოს აპარატში მუშაობს 300-მდე თანამშრომელი. შესაბამისად, აპარატის გამართული მუშაობა ხშირ შემთხვევაში განსაზღვრავს მთელი საკრებულოს სამუშაოს ეფექტურობას. მინდა აღვნიშნო, რომ მაქვს ყოველდღიური კომუნიკაცია აპარტის თანამშრომლების უმეტესობასთან.

ჩვენი ერთობლივი მუშაობის შედეგად, 2014 წლის 16-18 ოქტომბერს აპარატის თანამშრომელთა გუნდურობის, მუშაობის ეფექტურობისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, ჩვენს პარტნიორ ორგანიზაციებთან (UNDP, ვანო ხუხუნაიშვილის სახელობის ეფექტიანი მმართველობის სისტემების და ტერიტორიული მოწყობის რეფორმების ცენტრი, Austrian Development Cooperation და Swiss Agency for Development and Cooperation SDC) ერთად მოეწყო გასვლითი ტრეინინგი თბილისის საკრებულოს წევრებისა და საკრებულოს აპარატის თანამშრომლებისთვის ადგილობრივი თვითმმართველობისა და საკრებულოს მუშაობის ორგანიზაციის საკითხებზე.

2014 წლის 5 დეკემბრის ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს #170 განკარგულებით დავინიშნე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს - ქალაქ თბილისის საკრებულოს აპარატის საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარედ. აღნიშნულმა კომისიამ გაწია საკმაოდ შრომატევადი სამუშაო. მინდა აღვნიშნო, რომ პროცესის გამჭვირვალობასთან დაკავშირებით არ ყოფილა არავითარი კითხვის ნიშნები და მთლიანად აღნიშნული საკონკურსო-საატესტაციო კომისიის მუშაობა დადებითად შეფასდა.

საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა და სხვა სახის აქტივობები:

2014 წლიდან ვარ საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნული ასოციაციის (nala) ვიცე-პრეზიდენტი. საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნული ასოციაცია წარმოადგენს არასამთავრობო, არასამეწარმო და არაპოლიტიკურ ორგანიზაციას, რომელიც აერთიანებს საქართველოს ყველა ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულს. ასოციაცია თანამშრომლობს მრავალ საერთაშორისო ორგანიზაციასთან და ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპულ გაერთიანებასთან. ადგილობრივ თვითმმართველობათა ევროპული ასოციაცია არის საქართველოს მთავრობის პარტნიორი ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა კონგრესის თვითმმართველობაში.

იმავდროულად, ვარ ევროსაბჭოს ,,ადგილობრივი და რეგიონალური ხელისუფლების კონგრესის" წევრი (The Congresse of local and regional authoritie).

2014 წლის აქტივობები:

- ✓ 14 – 16 ოქტომბერი - ევროსაბჭოს ,,ადგილობრივი და რეგიონალური ხელისუფლების კონგრესის" 27-ე სესია, სტრასბურგი.

  დღის წესრიგის სხვა საკითხებთან ერთად განიხილებოდა საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგები. მიღებული იქნა რეზოლუცია, სადაც ზემოაღნიშნული პროცესი იყო დადებითად შეფასებული.

- ✓ 21-25 ოქტომბერი - ეკონომიკური ფორუმი, ნორვეგია.

  განიხილულ საკითხთა შორის იყო თვითმართველობებში მიმდინარე პროცესები და მისი თანმდევი დაბრკოლებები. მსჯელობა შეეხო მცირე ზომის ქალაქების ეკონომიკური წინსვლისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის განვითარების აუცილებლობის საკითხს. ნორვეგიის მაგალითზე განხილულ იქნა საშუალო და მცირე ზომის ქალაქების განვითარებისა და დეველოპმენტის საერთო პროექტი.

2015 წლის აქტივობები :

- ✓ 24-26 მარტი - ევროსაბჭოს ,,ადგილობრივი და რეგიონალური ხელისუფლების კონგრესის" 28-ე სესია, სტრასბურგი.

  სესიაზე განიხილეს ადამიანის უფლებების დაცვის მნიშვნელობა და აუცილებლობა ადგილობრივი თვიმმართველობის დონეზე; ასევე მიგრაციისა და დისკრიმინაციის საკითხები, ეთნიკური უმცირესობების და ისლამოფობიის პრობლემები. განხილულ იქნა სხვადასხვა განვითარებად ქვეყნებში აღნიშნული პრობლემატიკის ზეგავლენის საკითხი დემოკრატიის საზოგადო პრინციპეპზე და მსჯელობა შეეხო შესაბამისი პროცესების დაგეგმვის აუცილებლობას თვითმართველობების საარჩევნო სისტემის სრულყოფისთვის.

- ✓ 4 ივნისი - ქალაქი ბრიუსელი, ორგანიზაცია ALDA-სთან შეხვედრა თემაზე „მსოფლიო (გლობალური) მოქალაქე მოქმედებაში".

  დებატების ინიციატორები იყვნენ : CONCORD, DEEEP, CIVICUS, GENE და NORTH SOUTH CENTRE. შეხვედრის თემა იყო „მსოფლიო (გლობალური) მოქალაქე მოქმედებაში". გაიმართა დებატები საკითხებზე - მსოფლიო-გლობალური მოქალაქის რაობა; მსოფლიო მოქალაქის გლობალური განვითარების მხარდაჭერა და პროექტის საერთო მხარდაჭერის ტენდენციები.

- ✓ 5 ივნისი - ქალაქ ბრიუსელი, პროექტი „LADDER"-ი პრეზენტაცია და სამუშაო შეხვედრა.

  აღნიშნული პროექტი განხორციელდება EUROPEAID, რეგიონალური კომიტეტის პატრონაჟით, რომელიც შეიქმნა 1994 წელს და წარმოადგენს ევროპის რეგიონალური და ადგილობრივი თვითმმართველობის გაერთიანებას. პროექტი გაგრძელდება 36 თვე, 2017 წლის დეკემბრამდე. პროექტის მიზანია ადგილობრივი ხელისუფლების პოლიტიკური აქტიურობა გაზრდა განვითარებისთვის და ცნობიერების ამაღლებისთვის. პროექტის ფარგლებში განიხილეს ადგილობრივი

საგანმანათლებლო სისტემის განვითარების მეთოდები, საზოგადოების მოსაზრებები და მოთხოვნები. ასევე განხილულ იქნა პროცესის პოლიტიკური ხელშეწყობის აუცილებლობა, რისი მთავარი მიზანია მოქმედება ადგილობრივ დონეზე, გლობალური შედეგისთვის.

- ✓ 1 ივლისი - ევროსაბჭოს ,,ადგილობრივი და რეგიონალური ხელისუფლების კონგრესის" კომიტეტის სამუშაო სხდომა.

  მიმდინარე საკითხებს შორის კომიტეტის წევრებმა განიხილეს რადიკალიზმის პრევენციის, ახალგაზრდების ჩართულობის და სოციალური ერთობის საკითხები. სხდომაზე კომიტეტის წევრები გაეცნენ სახელმძღვანელოს „ადგილობრივი ხელისუფლებისთვის რადიკალიზაციისა და სიძულვილის მანიფესტაციების პრევენციისთვის", განიხილეს „ახალგაზრების ჩართულობის საკითხი და მათთვის ბარიერების მოშლის აუცილებლობა. განმცხადებლებმა წარადგინეს დამუშავების პროცესში მყოფი მოხსენებები პოლიტიკაში ქალების მონაწილეობასა და რადიკალიზმის პრევენციისათვის ადგილობრივი არჩევნების სამუშაო ინსტრუმენტების განვითარების საკითხზე.
  დამატებით კომიტეტის წევრებმა განვიხილეთ სამომავლო პრიორიტეტები და პროექტები.

- ✓ 10-11 ივლისი - თბილისი, ევროსაბჭოს ,,ადგილობრივი და რეგიონალური ხელისუფლების კონგრესის" კომიტეტების სამუშაო შეხვედრა

  სამუშაო შეხვედრებზე განხილული იქნა 2015 წლის 28-ე სესიის რეზოლუციაზე მისაღები საკითხები. მიმდინარე და არსებული პრობლემების საკითხები და მათი გადაჭრის გზები.

- ✓ 19-22 ოქტომბერი - საფრანგეთი, სტრასბურგი, ევროსაბჭოს ,,ადგილობრივი და რეგიონალური ხელისუფლების კონგრესის" 29-ე სესია.

  აღნიშნულ სესიაზე მიწვეული ვიყავი კონგრესის ძირითადი წევრის სტატუსით და შევდიოდი ქართული დელეგაციაში. დელეგაციას

ხელმძღვანელობდა ქ. თბილისის მერი დავით ნარმანია. სესიის ფარგლებში დამტკიცდა კონგრესის კომიტეტების შემადგენლობები, მიღებულ იქნა 28-ე სესიის ოქმი, გავეცანით გზამკვლევს რადიკალიზმის თავიდან აცილებისთვის, განვიხილეთ აქტიური მოქალაქეობის ხელშეწყობის საკითხი სამოქალაქო საზოგადოებასთან პარტნიორობის გზით. განვიხილეთ საკითხი ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლების როლზე ლტოლვილებისა და მიგრანტების კრიზისში, ადგილობრივი და რეგიონალური ხელისუფლების პასუხისმგებლობაზე ქალების სიღარიბესთან ბრძოლაში და ასევე ბავშვთა უფლებების დაცვაზე ეკონომიკური კრიზისის პირობებში.

გაიმართა თემატური დებატები ევროპის რეგიონულ უმცირესობებთან დაკავშირებით; რომელზეც მოწვეული იყო შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი, რომელმაც აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობებს, მათ შორის მის განუყოფელ ტერიტორიებზე აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მცხოვრები მოსახლეობის იდენტობის შენარჩუნებასა და ინტეგრაციას.

- **თბილისის სილქ როუდ ფორუმში მონაწილეობა**

2015 წლის 15-16 ოქტომბერს თბილისში გაიმართა აბრეშუმის გზის ფორუმი, სადაც ვმონაწილეობდი დელეგატის სტატუსით, როგორც ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“ და საკრებულოს წევრი.

ფორუმის ფარგლებში გაიმართა დისკუსიები შემდეგ თემებზე:

- აბრეშუმის გზის აღორძინება -ვაჭრობის გაძლიერების და ეკონომიკური თანამშრომლობის ახალი შესაძლებლობები
- ტრანსპორტი და ინფრასტრუქტურა: ტრანსასაზღვრო ვაჭრობის მოთხოვნების დაკმაყოფილება
- სავაჭრო პროცედურების გაადვილება აბრეშუმის გზის გასწვრივ (გაყოლებაზე): ძირითადი საკითხების დაძლევა ჰარმონიზაციისთვის
- აბრეშუმის გზის ენერგია: მილსადენები და ელექტროენერგიით ვაჭრობა საზღვარგარეთ
- საინვესტიციო შესაძლებლობების მოპოვება.

გასული პერიოდის განმავლობაში ვმონაწილეობდი თბილისის საკრებულოს სხვადასხვა მიმართულებით შექმნილი საზოგადოებრივი სათათბიროების შეკრეებში, შეხვედრებში ხელოვნებისა და კულტურის სხვადასხვა დარგისა და უწყებების, სახელოვნებო განათლების და სხვა სფეროს წარმომადგენლებთან.

მათ შორის მინდა ხაზი გავუსვა ჩემს ჩართულობას ჩვენს უცხოელ კოლეგებსა და დელეგაციებთან ორმხრივ შეხვედრებში, რაც საშუალებას გვაძლევს გავიზიაროთ საერთაშორისო ინსტიტუციების გამოცდილება, რათა შემდგომში შევძლოთ თბილისის განვითარებისათვის საჭირო ინოვაციების დანერგვა ქალაქის შესაბამის სტრუქტურებში.

და ბოლოს, სამწუხაროა, რომ წლიური ანგარიშის ასეთი ფორმატი არ გვაძლევს საშუალებას დეტალურად აისახოს ჩვენი გუნდის მუშაობის ყველა საკითხი. თუმცა ვფიქრობ ასეთი ფორმით შესაძლებელია შეიქმნას საერთო სურათი, იმისათვის თუ რა სპექტრის საკითხების განხილვას ითვალისწინებს საკრებულოს მუშაობა და რომ თითოეული ჩვენგანი ჩაბმულია პროცესში საკითხების ინიციირებიდა-მონიტორინგამდე. ჩემთვის მნიშვნელოვანია, ვიცოდეთ, რომ არ არსებობს მეორეხარისხოვანი პრობლემები, რომ ყველა მოქალაქის საკითხი ერთნაირად მნიშვნელოვანი და გასათვალისწინებელია. ამიტომ, როგორც თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის მოწვევის წევრის და ამავე საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის სტატუსით მთელი საანგარიშო პერიოდის განმავლობაში აქტიურად ვარ ჩართული საკრებულოს ყოველდღიურ საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებაში და საკრებულოს ეგიდითა თუ ჩართულობით გამართულ ღონისძიებებში.

გიორგი ტყემალაძე

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი,

თავმჯდომარის პირველი მოადგილე

31 ოქტომბერი 2015 წელი